თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2274589

ნომერი: AR1352149

თარიღი : 27.10.2015

გაცემის თარიღი : 03.11.2015

გაცნობის თარიღი : 03.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო გივიშვილი პ/ნ 01008027036
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 4 ბ. 5

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1352149 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N22–ში, (საკ. კოდები #01.10.16.002.003) არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟის პროექტის ასლს და ეწინააღმდეგებით მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 14 ივლისის AR1326562 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ირაკლი კვერღელიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N22–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.10.16.002.003) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადება. რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული

ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2014 წლის 15 აგვისტოს №1436338 ბრძანებით და სანებართვო მოწმობით შეთანხმებულია და გაცემულია დემონტაჟის ნებართვა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი, №22–ში, სააქციო საზოგადოება "ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.16.002.003), არსებული ყველა შენობისათვის, ხოლო აღნიშნულში №2149196 21.08.2015წ. ბრძანებით შევიდეს ცვლილება, კერძოდ: ბრძანების მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ,,დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით".

ვინაიდან №1436338, №2149196 გადაწყვეტილებები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1333220, AR1221062, AR1326562 განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

№1436338, №2149196 გადაწყვეტილებები სამსახურის მიერ გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

გიგზავნით სამსახურის №1436338, №2149196 გადაწყვეტილებების და თანდართული დოკუმენტაციის ასლებს.

ამასთან გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 2 ლარის და 75 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან, შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი
დანართი: 1 ალბომი
გადასახდელი თანხის რეკვიზიტებია:
1. მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3. ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6. გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი (#AR1352149. 27.10.15წ)